

# შინაური საქმეები

უოველკვირული გაზეთი

№ 2.

კვირა, აპრილის 20, 1908 წ.

ფასა წლიურათ — — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 7 კაპეიკათ.

აღრმსი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

**შინაარსი:** ივ. გომართლის იკიბოქია (სული და ტინი)—ხანშანიანი-სა; ტრია მწერალს (ლექსი)—ტონკმელისა; ღია წერილი ბ. ნახუცარას—უკიდურესისა; საღეთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში—სარკინელისა; სამეურნეო წერილები—ნ. მკურნალისა; გომართელს (ლექსი)—რ. საჯავახოელისა; არა იციან რასა იტყვიან—ტონკმელისა; საქველმოქმედო საღამოები ქუთაისში—ბოსლევლისა.

## უოველ კვირულ გაზეთ

### „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 7 კ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

### ივ. გომართლის იკიბოქია.

(სული თუ ტინი?)

რომელიმე მივარდნილ სოფლიდგან რომ მოიყვანოთ უსწავლელი ადამიანი და დაეკითხოთ საიდან წარმოსდგება დღე და ღამეო, რასაკვირველია გიპასუხებთ: „დღე და ღამის ცვლილება იქიდან წარმოსდგება, რომ მზე ხან ამოდის და ხან ჩადისო; როცა ამოვა გათენდება, როცა ჩავა დაღამდებაო“. ასე აგისნის ამ საკითხს ყოველი გაუნათლებელი (უსწავლელი) ადამიანი, რომლისთვისაც სკოლაში არ უთხოვიათ, დედა მიწა ტრიალებსო. მაგრამ განა დასაჯერებელია ეს პასუხი? ჩვენ რომ დაუჯეროთ, მეცნიერების თვითმპყრობელი გომართელი შაინც არ დაიჯერებს, თავისებურად მგლიძურად გაიღიმებს და ეტყვის მივარდნილ

სოფლელ მეცნიერს: „არა ძმობილო, ეგ აგრე არ არისო“ და დაიწყებს თავის იკიბოქიას, თუ როგორ მოწყდა მზეს დედამიწა, დედამიწას მთვარე, როგორ ციბრუტივით ტრიალებს დედამიწა მზის გარშემო და თავის ღერძზე და სხვ. და სხ., (იხ. შინაური საქ. № 1).

მიუხედავით ამისა გაუნათლებელი ადამიანის უბრალო საღ ჭკუას არ შეუძლია სხვა ნაირად იფიქროს დღე და ღამეზე, თუ არ ისე როგორც ზემოთ მოვიხსენეთ და სწორეთ ამ უბრალო საღი ჭკუის ნაშთია, როცა ამბობენ: მზე ამოვიდა, მზე ჩავიდა, მზე ანათებს მზე ათობსო, ხოლო ამ საღი ჭკუის ნაწარმოებს გომართელი, როგორც მოგახსენეთ, ღიმილით ეგებება, მიტომ რომ მის მეცნიერულ შეხედულებას არ ეთანხმება.

მაგრამ ვნახოთ, როგორ მიეგებება იგი იმავე უბრალო გაუნათლებელ ადამიანის საღ ჭკუის ნაშრომს, როცა ეს უკანასკნელი ეთანხმება მის (გომართელის) მეცნიერულ შეხედულებას რომელიმე საგანზე. „რომელიმე მივარდნილ სოფლიდგან რომ მოიყვანოთ გაუნათლებელი ადამიანი—ამბოპს ბ. გომართელი (იხ. სული და ტინი გვ. 1) და დაეკითხოთ, რითი ფიქრობს და აზროვნობს ყოველი ჩვენგანო, რასაკვირველია თავით, ტინითო,—გიპასუხებთ ის.“ და ეს პასუხი გომართელს სრულ ქეშმარიტებათ მიიჩნია. ასე რომ სხვა ნაირად სჯა ამ საგანზე მისი აზრით შეუძლო



ბელია, თუმცა, სამარცხვინოთ კაცობრიობისა, აუფენ ფილოსოფოს-მეცნიერები, რომლებიც სხვანაირად ფიქრობდნენ და არ იცოდნენ, „რომ აზრი ტვინში იბადება“ (იქვე).

„ქართველ კაცს თვალში აქვს ქუთაო“, ამბობს ქართული ანდაზა. ეს ანდაზა მარტო ქართველს არ შეეხება, თუმცა გომართელი სავსებით ამართლებს მას თავის მაგალითით. იგი შეეხება მთელ კაცობრიობას უკეთ რომ ვსთქვათ კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელიც სალი უბრალო გაუნათლებელი ქუთით აზროვნებს, და უფრო იმათ, ვინც გრძნობებით მსჯელობს. გაუნათლებელი ადამიანი ისე სჯის, როგორც ეუბნება მას გარეგანი გრძნობები: მხედველობა, სმენა, ყნოსვა და სხვა. კაცი ხედავს მზეს ხან აღმოსავლეთით ცის კიდეში, ხან დასავლეთით, ხედავს ცის კამარის სხვა და სხვა ადგილზე და ისიც, დანდობილი თავის მხედველობაზე, ამბობს: მზე ამოვიდა, მზე წამოიწია, მზე გადინარა, მზე ჩავიდა და ეს მას სრული ქვეყნარტება ჰკონია. ადამიანს ესმის ზარის ხმა და ჰკონია ეს ხმა ზარას ეკუთვნისო, სქამს შაქარს და იძახის ტკბილიაო და ვერ გრძნობს, რომ არც ხმა არც სიტკბო თავის თავად არ არსებობს და მით უფრო არ დაიარება მზე. ავიღოთ კიდეც მაგალითი, ჰკითხეთ, ვისაც გნებაესთ, (რა თქმა უნდა, უსწავლელს), როგორი შეხედულებისაა დედამიწა - თქო? იგი, დარწმუნებული ვარ, გიპასუხებს: დედამიწა ბრტყელია ლავაშივითო, და ეს პასუხი ბუნებრივია; სხვა პასუხს ვერ მიიღებ გაუნათლებელი კაცისგან მიტომ, რომ იგი სჯის გონებით კი არა, თვალთ, და არ იცის რა მატყუარა მოწმე ჰქავს, არ იცის როგორ გვატყუებენ ჩვენი გრძნობები. ეს მხოლოდ მეცნიერმა იცის და აკი სხვანაირადაცა სჯის?!...

ებლა ავიღოთ გომართლის მაგალითი ტვინის შესახებ. ადამიანი ხედავს, კაცი, სანამ ცოცხალია, აზროვნებს, ფიქრობს, ლაპარაკობს, მსჯელობს, მოკვდება სდუმს, აღარ აზროვნებს, აღარ მსჯელობს. კაცი ხედავს სხეულს, რომელიც ტრიალებს ეს აზროვნება და დანდობილი თავის ცრუ მოწმეზე (მხედველობაზე), ამბობს აზროვნებს სისხლიო, აზროვნებს გუ-

ლიო, აზროვნებს მუცელიო. ეს ფიქრიც ბუნებრივია, რადგან ამ სამი საგნის ცალკე კენ ერთად მოსპობას მოსდევს სხეულის სიკვდილი და მაშასადამე აზროვნების დაკარგვაც. აქ გასაკვირველი არაფერია. აბა რა სთქვას ადამიანმა, რომელიც თავის ცხვირ ზევით ვერ იხედება, რომელიც თვალებით, ყურებით, ცხვირით, ენით და შეხებით მსჯელობს და არა გონებით აზროვნებს.

გომართელი ხედავს, რომ როცა ტვინი ხმება, ან ლბება ადამიანის აზროვნება კლებულობს და ბოლოს სულ ისპობა. აბა რა სთქვას ამის შემხედვარემ, თუ არ ის, რომ არ არის, და არც საჭიროა იყოს არავითარი მოაზრესული, გარდა ტვინისაო; უბრალო გაუნათლებელ მივარდნილ სოფელელ კაცის აზროვნება ასე ეუბნება გომართელს და მასაც სჯერა.

მაგრამ ავიწყდება, ბ. გომართელს, რომ ის ორგანოები, რომლებიც მასალას აძლევენ საღ გონებას ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც სტყუვიან. ნიუტონი რომ უბრალო საღ მოსაზრებას დანდობოდა და თავის გრძნობებისთვის დაეჯერებია, დამერწმუნეთ, ბ. გომართელო, თავის უკვდავ ბუნების კანონებს ვერ გამოარკვევდა და დღესაც იმ უმეტრებაში ვიქნებით შესახებ ქვეყნიერების მოძრაობისა, რომელშიდაც ვიყავით ამ რამოდენიმე წლის წინეთ. ასე საშიშია სალი მოსაზრების დანდობა და თუ ძველი ფილოსოფოსები, უბრალო საღ მსჯელობაზე დანდობილნი, აზროვნობის ბუდეთ გულს, მუცელს და სისხლს ხდიდენ, თქვენც ბ. ივანე, თქვენი თანამოაზრეებით ძალიან შორს ვერ გასცილებიხართ მათ. ივინი თუ გულს აწერდენ აზროვნებას, თქვენ ტვინს აწერთ, რომელიც ქიმიურად არაფრით არ განირჩევა ტვინიდგან. და თუ გულით არ შეიძლება აზროვნება, არც ტვინი შეიძლება იყოს აზროვნების და საზოგადოთ სულიერ ცხოვრების ბუდეთ. ყოველ შემთხვევაში ამისანა დიდი საკითხის განმარტება უფრო მეტ საბუთს მოითხოვს მეცნიერებისაგან, ვიდრე გაუნათლებელი კაცის მოწმობაა. უსწავლელი კაცი იგივე უმეცარია და განა შეიძლება მეცნიერება უმეტრებაზე დავამყაროთ? თქვენი

ანგარიშის მიხედვით ბ. გომართელი მე აზროვნების ბუდედ სისხლს დავასახელებდი იმავე უფლებით, რა უფლებითაც თქვენ ტვინს ასახელებთ. თქვენ ამბობთ, — ტვინი როცა იხრწნება აზროვნებას კლებულობს და ბოლოს სულ ისპობაო. მე ვიტყვი როცა სისხლი კლებულობს (მოხუცებულობის დროს), აზროვნებას კლებულობს, როცა სისხლის ჩქეფა შესწყდება ძარღვებში, აზროვნებას ჩაქრება. შენ ამბობ აზროვნება ტვინის უჯრედების საქმეაო, მე ვიტყვი იმ სისხლის საქმეა, რომელიც ამ უჯრედებში ტრიალებს და ურომლისოთაც მათ, არა თუ აზროვნება, სიცოცხლეც არ შეუძლიათ თქვენსევე სიტყვით (იხ. წიგ. სული და ტვინი გვ. 2). გრძნობიერობაც სისხლს უნდა მიეწეროს და არა ძარღვებს (ნერვებს), რადგანაც, თუ მათში სისხლი წაღმა-უკულმა არ ტრიალებს, ისე ვერაფერს იგრძნობენ, როგორც ხარახის ტყავის ძაფები. სინჯეთ და გაუღიზიანეთ ძარღვი მიცვალებულს ჩხვლეთ ან კბენით! თქვენ ვერ მიადწევთ საწადელს, ვერ გამოიწვევთ გრძნობიერობას, თუმცა ძარღვიც და ტვინიც თავთავის ადგილზეა. რატომ? მიტომ რომ სისხლი აღარ მოძრაობს, გული აღარ ფეთქს. მაშასადამე სისხლი გრძნობს და არა ნერვი, ან ტვინი. როგორ ფიქრობთ, ბატონებო, განა იმდენათვე შესაწყნარებელი არ არის ეს ჩემი მსჯელობა სისხლზე? რამდენადაც ბ. გომართლის მსჯელობა ტვინზე? მაგრამ მხოლოდ უგნური იტყვის სისხლი აზროვნებსო? ტვინი აზროვნებსო ვინდამ უნდა სთქვას?... მაგრამ გავყვით ბ. გომართელს, ვნახოთ, სადნამდის მიგვიყვანს მისი მატერიალისტური შეხედულობა სულიერ ცხოვრებაზე.

თუ აზროვნება ტვინის საქმეა, მაზედ უნდა ჰქონდეს გავლენა იმის (ტვინის) რაოდენობას. გამოდის, ვისაც დიდი ტვინი აქვს, ის მეტი გონიერია. გომართელი არ უარყოფს ამ კემპარიტებას (!) (იხ. გვ. 15), მაგრამ იმ პირობით კი, რომ სიმძიმით ტანი არ აღემატებოდეს ტვინს ორმოცჯერ მეტად; ასე, რომ ტანი თუ სიმძიმით ოთხი ფუთია; ტვინი ოთხი გირვანქა უნდა იყოს უთუოდ, თუ ნაკლებია, გამოესალმეთ გონიერებს. ამნაირად თუმცა სპი-

ლოს ადამიანზე გაცილებით მეტი ტვინი აქვს (ადამიანს  $3\frac{1}{2}$ , სპილოს 13 გირ.), მაგრამ რადგან ტანი ნამეტანი დიდი აქვს, ამიტომ გონებას ნაკლები აქვს. — რა ბოდიშს იხდით, ბ. გომართელი! ორში ერთი მიიღეთ: ან ტვინია გონების და უგნურების მიზეზი და ან ტანი. ტვინის რაოდენობაზე თუა დამოკიდებული გონიერება, ტანი რა შუაშია და თუ დიდი ტანის პატრონი ყოველთვის უგნური უნდა იყოს, ტვინი რაღა შუაშია. ბევრ ტვინში უთუოდ ბევრი წარმოდგენები და აზრები უნდა იყოს და ამათ ტანი ხომ არ ქამს? აგვისენით რატომ არის ასეთი დამოკიდებულება ტანსა და ტვინის შუა? თქვენ არ გაგიჭირდებათ ეს, რადგან უთუოდ ფიზიოლოგიური მიზეზების ბრალია ეს გარემოება.

ზოგიერთ ტანით პატარა კაცს დიდი თავი აქვს, მაშასადამე დიდი ტვინიც, ზოგიერთს კი პატარა თავთან დიდი ტანი. თქვენის თეორიით პირველი გენიოსი (დიდი ჭკუისა და გონების პატრონი) — უნდა იქნეს, ხოლო მეორე უგნური. გვიბრძანეთ რამდენათ ამართლებს ამ აზრს ცხოვრება? მოიგონეთ ფრიდერხ დიდი, ლესინგი ნიუტონი და სხვები, რომელთაც შედარებით პატარა თავები ჰქონდათ და მაშასადამე პატარა ტვინიც, მაგრამ გონებით გაცილებით მაღლა იდგენ — ზოგიერთ დიდთავიანებზე. ავიღოთ, თუ გინდა, ორი თანასწორ ტანისა და ტვინის პატრონი? ესენი ორივე ერთნაირი გენიოსები იქნებიან, ან ორივე ერთნაირი უგნურები? რამდენი კაცი ყოფილა და იქნება ნიუტონის, კეპლერის, პასკალის და სხვა გენიოსების ზომის, მაგრამ ყველა ნიუტონი, კეპლერი და პასკალი გამოსულა? განა ვინც გომართელის ზომისაა, ის გონებითაც გომართელია? თქვენ კიდევ შეიძლება ის ბრძანოთ, აქ მნიშვნელობა ტვინის რუხე ნაწილს აქვსო. (გვ. 16) რა არის ეს რუხე ნაწილი? განა იგივე კომი არ არის, როგორიც თეთრი ტვინი? რა გავლენა აქვს რუხეს ან თეთრ ფერს აზროვნებაზე? ფერი და აზროვნება! ფერი თუ აზროვნებს, მარტო ტვინში კი არა, ყველგან უნდა აზროვნებდეს..... ან იქნება ტვინის უჯრედებს და მათ შემავრთებელ ძაფებს ჰქონ-

დეს რამე დიდი გავლენა ადამიანის გონიერებაზე—(იხ. გვ. 22), ან სულიერი ცხოვრებაზე? გომართელი დიდის რიხით იკავს ამ აზრს. იგი ვერ პოულობს ბუნებაში ისეთ ცხოველს, რომელსაც ტვინის უჯრედები თავის შემაერთებულ ძაფებით ნაკლები ჰქონდეს და გონიერება კი მეტი.

დავანებოთ თავი, ბ. გომართელო, ამ საცოდავ ცხოველებს, რომლების გონება და სულიერი მდგომარეობა ძალიან ნაკლებად წაგავს ადამიანისას. ჩვენ ისევ ადამიანები შევადაროთ ერთმანეთს, საღი ადამიანები. მე მგონია, თქვენ წინააღმდეგი არ გამიხდებით, რომ ვსთქვა: ყველა საღ ადამიანს რიცხვით თანასწორი უჯრედები და მათი შემაერთებელი ძაფები აქვსთქო, და თუ სულიერი ცხოვრება ადამიანისა განისაზღვრება ამ უჯრედებისა და ძაფების რაოდენობით, რატომ არის ასეთი უკიდურესი სხვადასხვაობა ამ სულიერი ცხოვრებისა? რატომ არ ჰგავს ადამიანი ადამიანს ხასიათით, მიმართულებით, გრძნობით, გონებით? რათ არ მეორდება ერთის სულიერი ცხოვრება მეორეში? დიდებული სოგრატი ერთხელ დაიბადა სწორეთ იმ ტვინის უჯრედებისა და ძაფების რაოდენობით, როგორც ემჩნევა დღევანდელ განვითარებულ ადამიანს, მაგრამ სოგრატს ვეღარ ვხედავთ განმეორებულს. აგრევე ბუდდა, ზოროასტრი, მახმადი, გიოტე, შექსპირი, შილლერი და სხვა გენიოსები, რომლებმაც მსოფლიო გავლენა იქონიეს თავის დროზე და რომლებიც აღარ განმეორებულან და, იმედია, არც განმეორდებიან ქვეყანაზე. თქვენის ანგარიშით ამ პირებს გაცილებით მეტი უჯრედები და შემაერთებელი ძაფები უნდა ჰქონოდათ, თორემ სხვებიც ხომ ისეთივე სოგრატი, ბუდდა, ზოროასტრი და მახმადი უნდა გამოსულიყვნენ. თქვენ, რასაკვირველია, არ გამიწყურებით და დამიჯერებთ კიდევ, რომ ერთნაირი მიზეზები ერთნაირ შედეგს ჰქმნიან; მაშასადამე, თუ ადამიანის სულიერი მდგომარეობა თავის ერთნაირი ტვინის შედეგია, თვით ეს სულიერი მდგომარეობა ერთნაირი უნდა იყოს, ე. ი. ყველა სოგრატები უნდა ვიყოთ, ან ყველა ნაპოლეონები, ან ყველა გეროსტრათ-

ტები, ან კიდევ ვინც გნებავთ: თუნდა გომართლები, ბებელები და სხვა.

სანმანიანი.

**ბირია მწერალს.**

შენი ლექსი დაღმა მირბის, ვერსად შევხვდი მაღლა ფრენას,— ზეცის შეილათ მონათლული მოყოლიხარ მარტო ღრენას!..

დაგკარგვია გზის უარსკვლაოი, დაუშვრიხარ ცრემლთა ღენას, ეგრეთ სენით შეპყრობილი რა ფასს დასდებ ნამდვილს ეღერას?!..

როგორც ჩალა ტალღის ზურგზე, მიეხლები კიდი-კიდე:— ამას გირჩევ, დაკარგულო, ფეხი სადმე მოიკიდე!

ნუ შეარცხვენ მაღალს ღმერთებს, დიაცობას მოერიდე, მგოსანი ჩანგს ხელს ვერ ჰკიდებს თქვენი კენესის გადაქიდე!

მაგ არ არის კარგი ხედვა, ფუნა ჰპოვო, ვარდი არა, პირსც შეხედე, მარტო ზურგს ნუ, დაბრმავება კმარა, კმარა!

ის არ არის დასასრული, მიზანი, არც უკვდავება, — დღიურ ვარმით სულ იტირო, გულს არ მისცე არსით შევება.

ქირი, ლხინი, მოთქმა, ვაი ტაროსია მხოლოდ სულის, — ცხვირის ზევითც აიხედე, ნუ გეშინის ღროთა ბრუნვის!

რომ არის მიხანთ-მიხანი, და ტანჯვაშიც ჰარმონია, რომ სულს ვერ ჰკლავს ღრქენა კბილთა, სულ არსად გაგიგონია?!.

მაშ ასწიე ქელი ზევით, მოვლენაში სულიც სცანი, რომ მასხარად არ გიგდებდნენ

დაბლა მიწა, ზევით ცანი!  
 ჰა, თუ მგოსნობ გამაგონე  
 ლხენა მუხის, ხმა ციური,  
 რომ არ მოკვდეს რწმენა სულის  
 და არ გავხდე უბედური!  
 წინ წამიძღვე ნათლის სვეტით  
 და მიჩვენე აღთქმის მხარე,  
 რომ არ ჩავკვდე მეწამულში,  
 კმარა, რაც შე ცრემლი ვღვარე!  
 წინ! წინ! გასწი, რომ არ ვნახო  
 ამის შემდეგ მე ვგვიბტე!  
 თუ ვინატრო მის მონობა,  
 გამიქვავდეს ენის კლიტე!

ტონკელი.

14 მარტი 907 წ.

ქ. ფოთი.



*Handwritten red mark resembling a stylized 'A' or 'X'.*

**ღია წერილი ბ. ნახუცარას**  
*იგი, მოვკარე, ჩემიუ ვადეხივო.*  
 მომილოცავს, ბატონო ნახუცარა, მომი-  
 ლოცავს თქვენი ბედნიერება! ქეშმარიტად უბე-  
 დურია ის კაცი, რომელიც თავის სინიდის  
 ვერ შერიგებია! ქეშმარიტად საცოდავია ის  
 ადამიანი, რომლის სიცოცხლე სინიდისს წი-  
 ნააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენს! ქეშმარი-  
 ტად აუტანელია ცხოვრება, როდესაც სინი-  
 დისი გადამტერებული გყავს!... გარეშე მტერს  
 კიდევ დაემალება ადამიანი, კიდევ მონახავს  
 ისეთს წამს, ისეთ ბინას, რომ მისი ცქერით  
 არ იტანჯებოდეს. მაგრამ სად დაემალები სინ-  
 დისს, რომელიც შენშია, შენთან განუყრელია,  
 შენი არსების არსებითი თვისებაა? ქეშმარიტად  
 ვერსად და მით უფრო ძლიერია მისი მოქმე-  
 დება... ეხლა მადლობა ღმერთს, რომ გათავი-  
 სუფლელბუღბართ ამ შინაური აუტანელი მტრი-  
 საგანი! მაგრამ გვიბრძანე, როგორც სინდისთან  
 შერიგებაში გამოცდილმა ადამიანმა: ნამდვილია  
 თქვენი შერიგება? გაყურდა, დაკმაყოფილდა  
 თქვენი სინდისი? აღარ გაწუხებთ, აღარ გქენ-  
 ჯნისთ? რადგანაც სინდისთან შერიგებაში გა-  
 მოუცდელი გახლავარ, მე სულ სხვანაირად

ვსჯი. ვსჯი, რასაკვირველია *a priori* და სრუ-  
 ლი დარწმუნებულიც ვარ, რომ თქვენი სინ-  
 დისი დღესაც არ არის კმაყოფილი. და თუ  
 თქვენ მას ზავი სთხოვეთ, დარწმუნებული ვარ,  
 რომ იგი უარს ამბობს და არ გირიდდება. იგი  
 გეუბნება თქვენ: „როცა შენ მდედლეობას ემზა-  
 დებოდი, მარწმუნებდი, რომ შენ ამ ხარისხს  
 თავისუფლად, ძალდაუტანებლად ღებულობდი  
 და მეც გაჩუმებული ვიყავი, რადგან გულწრ-  
 ფელი მეგონა შენი განძრახვა. როცა შემდეგ  
 შენ კურთხევის წინ ფიცი მიიღე, მაჯერებდი,  
 რომ ამას სარწმუნოებით ღებულობდი და მეც  
 ვიღმედი. როცა შემდეგ საკურთხეველში დაბრ-  
 ძანდებოდი და ხმა-მალა დაღადებდი: „მიი-  
 ლეთ და სქამეთო და სვით ამისგანო“, შენ  
 მარწმუნებდი, რომ ამ სიტყვებს გულისწმიდით  
 ამბობდი და რაღა მეთქმოდა. შემდეგ როცა  
 შენ ამბიონზე გამობრძანდებოდი ხოლმე და  
 ხალხს უქდაგებდი სახარების სარწმუნოებას,  
 სასოებას და სიყვარულს, მარწმუნებდი, რომ  
 შენ თითონ გრწამდა შენი ქდაგება და რაღა  
 უნდა მექნა, რომ შენთვის ხატობა არ შემესხა.  
 კიდევ შემდეგ... მაგრამ რამდენი უნდა მოვი-  
 გონო შენი თვალთმაქცობა? შენი სიფლიდე?  
 მე კი ყველაფერი შენი მოქმედება გულწრფე-  
 ლი მეგონა და ამიტომ, რაც შემიძლო, მად-  
 ლობით ვაჯილდოვებდი, ვატკობდდი, ვაიამო-  
 ნებდი! ეხლა ეს სუყოლიფერი ტყუალი ვამოდ-  
 გა. ეხლა ვამოჩნდა. რომ მეც მატყუებდი და  
 ხალხსაც. რაღა შებრალებას თხოულობ ჩემგან?  
 შებრალება მე არ ვიცი, დათმობის გზით თა-  
 ვის დღეში არ მივლია. მე ვსჯი ადამიანს და  
 ვაჯილდოვებ ვსჯი უფრო სიცრუისა და ფა-  
 რისველობისათვის და სწორედ შენ ყოფილხარ  
 მატყუარა: შენ არ გწამებია ეს, რასაც სხვას  
 ასწავლიდი და აძალებდი კიდევ. ეხლა მივხე-  
 დი, რომ შენ აცდუნებდი ხალხს, რომ თავი  
 შეგენახა, კუჭი გამოგეძლო! ეხლა დაეინახე,  
 რომ შენ ქურდი ყოფილხარ, ჯიბგირი, რომე-  
 ლიც მაშინ აფოთარებს სხვის ჯიბეში ხელს,  
 როცა ჯიბის პატრონის ყურადღება სავსებით  
 მიტკეულია რომლისამე საგნისა ან შემთხვევი-  
 სადში. სწორედ შენისთანა პირებისთვის არის  
 მომართული ჩემი გესლიანი ისარი“.

„ჩემი თავისუფლება გამოცხადდა? მადლობა ღმერთს, რომ გამოცხადდა, თორემ მუდამ შენ მონებაში უნდა ვყოფილიყავ!.. ეხლა გამათავისუფლე? მადლობას გწირავ! ეხლა მაქვს მეც დრო გავასამართლო! ეხლა მომეცა მარჯვე შემთხვევა სამაგიერო გადავიხადო ჩემი მოტყუებისათვის! რათ იკატუნებდი თავს? რათ მეჩვენებოდი მორწმუნეთ? შენ ყოფილხარ ფარისევლი, რომელიც გარეგნობით არის ის, რათაც ეჩვენება ადამიანს, ხოლო შინაგანი მისი სავსეა ბოროტებითა. გახსოვს ი. ქრისტეს რისხვა ასეთი ადამიანების მიმართ? „ვინ თქვენდა, ფარისევლებო ორგულნო!“ სწორეთ შენზეა გამოქრილი ეს სიტყვები. კარგად დაუკვირდი შენ თავს, თუ იგი არ მოგაგონებს იმ განგოზილ კუბოს, რომელიც გარედგან ათასფრად ბრჭყვიალებს, ხოლო შინაგანი მისი სავსეა მძორითა და ძვლებითა!.. ვისია ეს შედარება იცი? აი იმისი, ვინც შენ უარყავი, ვინც შენ ასე იაფად გაჰყიდე! რათ იკატუნებდი თავს, რათ ატყუებდი გულუბრყვილო, უვიც საზოგადოებას? გშიოდა და მისთვის? შეგეძლო სხვა საქმისთვის მოგეკიდა ხელი: შეგეძლო ქუჩა გეწმინდა და მითი გერჩინა თავი. პატიოსანი შრომა ადამიანს არ შეაგინებს და არც ღირსებას ჩამოართმევს. უკანასკნელად შეგეძლო გემათხოვრნა და შენი რწმენის წინააღმდეგ არ წასულიყავი“.

„ეხლა, თუ შენ გულწრფელად ნანობ და არ ფარისევლობ ისე, როგორც აქნამდის, თუ შენი შენანება უბრალო ბავშური გატაცების ნაყოფი არ არის, თუ შენ თავი არ გინდა მოიწონო იმ ორი სამი პატიოსანი გვამის წინაშე, რომლებიც შენთან ერთად უარს ყოფენ თვალსაჩინო ქეშმარიტებას და რაღაც ოცნებას ემსახურებიან, დაუბრუნე ხალხს, რაც მას მოტყუებით, ფარისევლობით წაართვი, წააგლიჯე, და გადიხვეწე. წადი შორს, შორს აქედგან! ან კი როგორ უნდა გაბედო აქ დარჩენა? ნუთუ არ შეგრცხვება იმ საზოგადოებაში გამოჩენისა, რომელსაც შენ განძრახ ატყუებდი? თუ შენში რაიმე რაინდული მოქალაქობრივი გაბედულება დარჩენილია კიდევ, თავი უნდა მოიკლა—რადგან ნდობა დაკარგე: ერთი

დღე კი არა, არც ერთი თვე, არც ერთი წელიწადი, მთელი ათი-თორმეტი წელიწადი ატყუე შენი ძმები, შენი შვილები, შენი თანამემამულეები. კვლავ ვინდა უნდა გენდოს შენ? ვის დაარწმუნებ, რომ არ ფარისევლობ და გულწრფელად მოქმედობ? ვინ დაგიჯერებს, თუნდ თვით ქეშმარიტებაც ღალატებდეს შენი ბავით? შეიძლება პირში მოგეფერონ, მოგიწონონ კიდევ შენი ღვთის წინააღმდეგი საქციელი, მაგრამ იცოდე, მხოლოდ პირში გეფერებიან, ხოლო გულში სულ სხვას ფიქრობენ, აი სწორედ ისე, როგორც შენ პირით ერთს ბრძანებდი და გულში კი თურმე სხვას ფიქრობდი. იცოდე პირში რომ გაქებენ, ვითომდა შენი რაინდული საქციელისათვის, გულში ამბობენ: „რა კაცია ის კაცი, რომელიც, სანამ დრო ხელს უწყობს ატყუებს და ყვლფეს ხალხს? რა ადამიანია ის ადამიანი, რომელსაც ერთი სწამს, ხოლო მეორეს ჰქადაგებსო?“

„მაშ რაღად ვარგინარ ამ ქვეყნად ნდობა-დაკარგული? წადი, წადი და, რაც შეიძლება, შორს, შორს, რომ ვეღარ იხილო ის, ვისაც მთელი შენი სიცოცხლე ატყუებდი! გადიხვეწე, რომ ცოტათი მაინც არის, მოისვენო. მაგრამ სად უნდა იპოვო მოსვენება? სად დამემალეები მე; მე, რომელიც შენთან დავიბადე და შენში ვცხოვრობ განუშორებლივ? ვერსად, ვერსად და ვერსად! მე და შენ მხოლოდ სიკვდილი გაგვკრის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დაგვადღუმებს ცოცხალთა თვალში. მაშ შენი მხსნელი მხოლოდ ცივი სამარეა და ნურც შენ მოერიდები ამ უკანასკნელს. განა სულ ერთი არ არის შენთვის? აქ ხარ, მაინც აღარ ხარ, მოკვდები, მაინც აღარ იქნები, მეკი იქაც შენთან ვიქნები, სადაც შენ არ ყოფნას ფიქრობ. მაშ სამარე და სამარე!.. ასე გადაუწყვიტე იუდასაც, იმ იუდას, რომელმაც ქეშმარიტება ვეცხლზედ გაჰყიდა. ჩემი დევიზია: იუდას ხვედრი მას, ვისაც ქეშმარიტება არ სწამს და მისი სახელით კი სარგებლობს, რომ ოცდაათი ვეცხლი აიღოს!..“

ქუთაისი.  
24 თებერვალი 1906 წ.  
უკიდურესი.

**საღვთისმეტყველო საგნების ქართულად  
სწავლების შესახებ სასულიერო სასწავ-  
ლებლავში.**

წარსული წლის დეკემბრის თვის შუა რიცხვებში შესდგა თფილისში მთავრობისგან ნებადართული კრება ქართლ-კახეთის ეპარხიის სამღვდლოებისა. მრავალ საყურადღებო საკითხთა შორის, კრებამ განიხილა საკითხი სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლის შესახებ. რასაკვირველია, კრების დებუტატებმა საჭიროდ სცნეს საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება; სხვანაირი პასუხის მიცემა ამ საკითხზე შეუძლებელი იყო; ცხადზედ უცხადესია საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების საჭიროება. აღნიშნული დადგენილება დეკემბრის კრებისა სინოდში ყოფილა წარდგენილი დასამტკიცებლად; როგორც ვხედავთ გადმოგვცემს გაზეთი „ამირანი“ (№ 31, 6 აპრილი, 1908 წ.) უწმინდესს სინოდს არ დაუმტკიცებია ეს დადგენილება სამღვდლოებისა, მიტომ რომ სახელმძღვანელოები არა გაქვთ ქართულ ენაზედო. მართლაცაა ქართველებს ქართულ ენაზე არა გვაქვს სახელმძღვანელოები საღვთისმეტყველო საგნების შესახებ. არა გვაქვს კიდევ მიტომ რომ აქამდის არა ყოფილან ისინი საჭირონი.

მაგრამ, ჩემი აზრით, სახელმძღვანელოების უქონლობა არ უნდა ჩაითვალოს იმ გვარში მოვლენად, რომლის თავიდან აცილებაც კვლავ დროში შეუძლებელი იყოს.

ჩვენ ღვთის მადლით, საკმარისად გვყავს აკადემიებში კურს დასრულებული პირები, მღვდლები, ბერები და ერის კაცებიც: ამათ კარგათ იციან რუსული ენაც და ქართულიც, აიღონ ამ დალოცვილებმა და გადმოიღონ ქართულს ენაზე რუსული მდიდარი საღვთისმეტყველო ლიტერატურად სახელმძღვანელოები ყველამ იცის თუ რამდენი სახელმძღვანელო და მთელი მეცნიერული სისტემებია რუსულს ენაზე საღვთისმეტყველო საგნების შესახებ. გადმოთარგმნაში არ არის არაფერი არც სათაქილო, არც დამამკირებელი კაცის ღირსებისა. დიდებული მეცნიერი ანტონ კა-

თალიკოზი რომ სთარგმნიდა ქართულს ენაზე სახელმძღვანელოებს, რას აწივებდა? წიგნების საძებნელათ შორს არ მოუხდებათ წასვლა ქართული სახელმძღვანელოების შემდგენელთ, რადგანაც ისინი ცხოვრებენ მეტწილათ თფილისში და იქ მათ ხელთ არის სემინარიის წიგნთსაცავი, აგრეთვე საეკლესიო მუზეუმში და წერაკითხვის საზოგადოება, სადაც ბლომით არის საღვთისმეტყველო წიგნები. წერაკითხვის წიგნთსაცავში და საეკლესიო მუზეუმში დაცული ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები დიდს დახმარებას გაუწივენ საღვთისმეტყველო თერმინოლოგიის გასარკვევედ და შესაბამე შევებლად<sup>1)</sup>

ის სამღვდლოება, რომელმაც საჭიროთ სცნო სემინარიაში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება ქართულად, ვადაუბუღა მასთან ვადა უთუად, სასტაკად, აუცადებლად, ბეკითად ქართველ მღვდლებს, ბერებს, ერის კაცებს აკადემია დამთავრებულებს, რომ შეადგინონ და გადმოსთარგმნონ რუსულიდან ქართულად სახელმძღვანელოები საღვთისმეტყველო საგნების შესახებ. თორემ მართოკა ყურნალით დადგენა არა კმარა. ათასჯერ რომ დაადგინონ დებუტატებმა საჭირო საღვთისმეტყველო საგნების ქართულს ენაზე სწავლებაო, ათასჯერვე მიიღებს პასუხად: „დიდი სიამოვნებით, ბატონებო, მოგცემდით ნებაბრთვას, მაგრამ „უჩებნიკები“ არა გაქვთ და აბა, გენაცვალეთ, რა გიყოთო“. ღმერთმა იმ დროსაც მოგვასწრო, რომ თვითონ მთავრობა გვეკითხება, საჭიროთ სცნობთ თუ არა საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლებასაო, და სირცხვილი და სიკვდილი არ იქნება ჩვენთვის ამის შემდეგ გავჩერდეთ და უარი ვთქვათ სწავლებაზე „უჩებნიკების“ უქონლობის გამო? მაშ რაღა ღობე-ყოჩეს ვედებოდით, რიდასთვის გამოუქედეთ ყველას ყურები ყვირილით: ქართულათ გვასწავლეთ საღვთისმეტყველო საგნებო, თუ სახელმძღვანელოებსაც

<sup>1)</sup> „მწყემსი“-ს შარშანდელს ერთ-ერთ № დაბეჭდილი იყო სტატია ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ. მაგრამ ჯერ ხანა არავის აუბაშს, (ავტორი).

არ შევადგენთ. თუ ეხლავე არ მიიქცია სამღვდელთა კურადღება სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს, გამოვა, რომ მან საქიროთ სცნო სწავლება ქართულს ენაზე საღვთისმეტყველო საგნებისა მხოლოდ რეკლამისთვის, რომ ქვეყნისთვის ეუწყებინა: შემომხედეთ რა ბიჭი ვარო! თუ არ მიიქცა ჩვენში საღვთისმეტყველო საგნების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება, მაშინ უმჯობესია მივიდეთ საეკლესიო მუზეუმში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნთ საცავში, მოუყაროთ ერთად თავი საღვთისმეტყველო წიგნებს, რომლებიც დაწერილარიან ჩვენ წინაპართა სისხლით და ოფლით და წაუყუთხოთ მათ სულმობრძავის ლოცვა, მერე ზედ პანაშუადიკ მოვაბათ! თუ შეიძლება ქართულს ენაზე შედგენა სახელმძღვანელოებისა სიტყვიერების, მათემატიკის, ისტორიის და სხვა საგნების შესასწავლად, ღვთისმეტყველება რაღა არის? გავიღვიძოთ მაშნო, თორემ ამდენი წოლით გვერდებზე „მაზოლები“ გამოგვივა.

ჩემი აზრით, კარგს ინებებდნენ ყოფილი კრების და სემინარიის სამმართველოს წევრები დეკ. ნ. თალაკვაძე და მღ. გიორგი გამრეკლი, რომ მიიღებდნენ სახელმძღვანელოს შედგენის საქმის მოწესრიგებას; ღმერთიც დაუმაღლით და კაციც.

გარდა სახელმძღვანელოების უქონლობისა, ქართულს ენაზე საღვთისმეტყველო საგნების სწავლებას სთვლიან მოუხერხებლად კიდევ სხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზი, რომელზედაც მე მსურს მოგახსენოთ, არ შემხვედრია გაზეთებში გამოთქმულად, მაგრამ ისე ზეპირს ლაპარაკში და საუბარში კი ხშირად მსმენია; ძალიან დადინჯებულად, დარბაისლურად მოგახსენებენ ზოგიერთი არამკითხე კირისუფლები ქართველ ერისა, რომ საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლება სემინარიაში, თურმე, დაუხმავს ქართველ ახალგაზდობას უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებლების, აკადემიების კარგს; ქართველი ახალგაზდობა ვეღარ მიიღებს მაღალს საღვთისმეტყველო სწავლას და განათლებას, თუ ეს ღვთისმეტყველება თფლისის სემინარიაში ქართულს ენაზე ისწავლა. მაშ გამოდის, რომ ქართვე-

ლები თავისი თავის მტრები ყოფილან, როცა უთხოვნიათ საღვთისმეტყველო საგნების დედა ენაზე სწავლება! მახლას!

უმაღლეს სასწავლებელში შემსუფთვებისათვის საქიროა, რომ მას ჰქონდეს გავლილი საშუალო სასწავლებლის კურსი საესებით, შეგნებულად და წესიერად; მას უნდა ჰქონდეს საზოგადო განვითარება, მან უნდა იცოდეს თანამედროვე მდგომარეობა მეცნიერების იმოდენად, რავდენადც შესაძლებელია ეს საშუალო სასწავლებლის პროგრამით; ხოლო რა ენაზე ექნება მას შეძენილი ეს ცოდნა და განვითარება ეს სულერთია. ყველამ ვისაც უსწავლია რუსეთის სასულიერო აკადემიებში კარგად იცის, რომ ყოველ-წლივ მოდიან იქ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქვეყნებიდან (საბერძნეთი, სერბია, ბოლგარია რუმინია, ასურეთი) ყმაწვილი კაცები უმაღლესი სწავლის მისაღებად; მათ თავიანთ სამშობლოში დაუსრულებიათ კურსი საშუალო სასწავლებლებისა, რომლებიც უდრიან რუსეთის საშუალო სასწავლებელს, — სამშობლო ენაზე, მათ რუსულად „და“ და „ნეტის“ მეტი არა იციან რა, მაგრამ საზოგადო განვითარებით და საგნების ცოდნით არ ჩამოუვარდებიან რუსეთის სემინარიების სტუდენტებს. ესენი რჩებიან რუსეთის აკადემიებში 4—5 წელიწადი და სწავლა დამთავრებულნი ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ბრუნდებიან სამშობლოში, ზოგი კი რუსეთში რჩება სემინარიებში და სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლებად“. რა უჭირთ ეხლა მათ, რომ რუსული „უჩებნიკებით“ არ შეისწავლეს ღვთისმეტყველება? მართალია მათ ეძლევათ ცოტა ოდენი შეღავათი აკადემიაში მიღებისა და კურსის დამთავრების დროს, მაგრამ ეს შეღავათი არც ისეთ სასწაულთ მოქმედია, რომ სულ ყრუ და უმეცარი სტუდენტი არა რუსი და არა რუსულ „უჩებნიკებით“ განსწავლული ღვთისმეტყველების კანდიდატობის ხარისხის ღირსად სცნოს. — ეხლა ვიკითხოთ, თუ გადამთიელ ბერძნებს და ბოლგარს, რუმინებს არ ეხშობათ აკადემიების კრებები, თუმცა მათ რუსული ერთი ინჩიც არ იციან, რად



უნდა დაეხმოს ქართველებს, რომლებიც ქართულად მხოლოდ საღვთისმეტყველო საგნებს ისწავლიან და დანარჩენებს კი რუსულად და მასასადამე რუსული ენა კარგად ეცოდინებათ? ცხადია, აქ რაღაც გაუგებრობაა ზომას გადაქარბებული შიში ქირისუფალთა, სასულიერო აკადემიაში შემსვლელი, თანახმად წესდებისა უნდა იყოს მართლ მადიდებელი ქრისტიანე, რუსეთის იმპერიის საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებული, კეთილ საიმედო; თუ ყველა ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს ადვილად თფილისის სემინარიაში კურს დამთავრებული ქართველი, რათ უნდა დაეხმოს მას აკადემიის კარი? აკადემიის დასრულების შემდეგ, მას უუქველია, მიეცემა იგივე უფლება, როგორც ეძლევა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, კურს დასრულებულს რუსეთის ხელმწიფის ქვეშემრდომს.

საზოგადოთ, საკითხი საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ მეტად სერიოზული საკიხია, იმედი გვაქვს ჩვენი მღვდლები, რომლებმაც დაიწყეს ეს საკითხი, განაგრძობენ და დაამთავრებენ კიდევ სასიკეთოდ.

სარკინელი.

**ს ა მ ე უ რ ნ ე მ ო წ ე რ ი ლ ე ბ ი .**

წინასიტყვაობა.

ბედნიერია ის ერი, რომელსაც შინაური საქმე იმდენად მიღვა-მოღვაგებული აქვს, რომ დროს ჰპოულობს სხვის აფუშულ-დაფუშულ საქმეებში გაეროს, როგორც კეთილ მსაჯული და საქმის დამლაგებელი, მაგრამ ვაი რა სატირალი მდგომარეობაა, როდესაც თითონ შენი საკუთარი საქმეების აფუშულ მდგომარეობას ვერ ატყობ და გაბრუებული ქვეყნის საქმეებს ედები, სხვას ვერ შეეღი და თავის თავს კი ბნელ უფრსკულს უშხადებ. ახაზედ უარესი კი ის არის, როდესაც თითონ არ იცი და სხვას არ უჯერი, როდესაც სხვისი სამართლიანი მოქმედება ან რაღაც შინს საქმის კ...

საუბჯობესებლად აღს მოგდებს, გადაგრეც, ბოროტად ჩათვლი და შენს წრფელ გულთ კეთილის მდომში მტერს ეძებ, როდესაც გარეშე კაცის ან მთელის ერის დაცინვას და ზნეობრივ სილას ვერ გრძნობ, ან არაფრათ აგდებ და შენიანის ბრწყენა აგაპიპილებს, ადამიანურ გრძნობას გიბნელებს და შენშიდ მხეცს აღვიძებს.

ავილოთ, მაგალითად, საქართველო მისი დიდებულის ისტორიით. წინაპარნი ჩვენის ერისა თითქმის ოც საუკუნის განმავლობაში ომის ველზედ გულ მკერდით ხედებოდა მტრის ტყვია-ხარბაზნის წვიმას და უკანასკნელის სისხლის წვეთამდე იცავდა თავის წმინდათა წმინდას-სარწმუნოებას და სამშობლოს; დედები გმირებს უმზადებდა თავის ძვირფას სამშობლოს და პატრიოტულ გრძნობით აღტურვილ შეილებს მტრის მეხად ხდიდა; ბატონსა და ყმას ერთი სალოცავი ჰქონდა—სამშობლო და მისი დიდება, მისი მომავალი.

მიუხედავად სისხლის მორვევისა ვიზანტიის კულტურა დიდებულს ნიანდაგს პოულობდა დასავლეთ საქართველოში; აღებ-მიცემობა, ლიტერატურა, მეურნეობა ჰყვავდა ღვთის მშობლის ხვედრ ივერიაში.

აუარებელი პურ-ღვინო, საერთო მიზანი, საშვალების და გვარად განათლების შეთვისება, კოლლეგიური სჯა-ბასი ადგილობრივ კირ ვარამზე და საშვალების მოპოვება საერთოდ—აი კუთვნილება წინაპართა შინაურ საქმეებისა.

ეხლა კი რა? ეხლა, როდესაც წასრულ დროების მტრები არ გვესევა? ცხოვრების და დროს მოთხოვნილება სულ სხვა არის, თოფიარალის, ცხენ-უნაგირის, სიმარლის და სიმამაცის ადგილი დაიკავა გუთანმა, სწავლა-განათლებამ; ფიზიკურ ომის მაგიერ ტვინის ომია; ზნეობრივი და საზოგადოდ ათას ნაირი კულტურული მოთხოვნილება დაფინებით ურაკუნებს თითოეულ ჩვენთაგანის კარს და მათი დაუკმაყოფილება ზნეობრივ სიკვდილის მსგავსია, მაგრამ... მაგრამ ჩვენ კი დადუმებულნი ვართ, თითქო ეს ჩვენ არ გვეხებოდეს; მის მფიქრ, რომ დროს უფმსახუროთ, მამა-პაპ...

რის მხნეობით წელგამართული შევებრძოლოთ მას, რაც სინათლეს გვიბნელებს და ჩინეთის კედელს აშენებს ჩვენ და კულტურულ ცხოვრებაშია, გულ ხელ დაკრეფილი მოველოდებით გარეგან შემწეობას ვილატასაგან, მაგრამ ვინ არის ეს „ვილატა“ — გამჩენმა იცის. ეს კი ცხადია, რომ პეტრეს მოსვლამდე, პავლეს ტყავი გაძვრება; ჩემის ფიქრით და რწმენით კი ეს „ვილატა“ ისევ ჩვენა ვართ და აუცილებელია ორში ერთი: დაუყონებლივ ხელების და ტვინის მოძრაობა, რომ დაღუპვას ავცილდეთ, ან და წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი დაღუპვა. დიდ შეტომად მიმაჩნია მოლოდინი შემწეობისა მართებლობისაგან, რადგანაც ისტორიამ არ იცის არც ერთი სახელმწიფო, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მართებლობა აკმაყოფილებდეს ერის ყოველნაირ მოთხოვნილებას, თუ რომ მართებლობას შემწეა არ აღმოუჩნდა თითონ საზოგადოება, თუ რომ ამ უკანასკნელმა არ მიიღო ყოველნაირი ღონისძიება თავის კულტურულ წინმსვლელობისათვის, მაშასადამე ყვირილი — მართებლობამ თავის „ღუმით“ და „სახელმწიფო საბჭოთი“ გაგვაკეთოსო დარჩება „ხმად მღალადებელისა უღაბნოსაშინა“. უაფლოდ ნაშოვნ ფულით ჩვენ ბევრს ვერას გავაკეთებთ და ამის მაგალითი, მგონია, ბევრია ჩვენში: — განა ცოტა ფულები გაიტანეს ბანკიდგან ჩვენმა მემამულეებმა? მიჩვენეთ ნაყოფი ამ ფულებისა?

მე კი ერთ ნაყოფს ვხედავ ჯერ: მამულების დაკარგვას მემამულეებთათვის და ფულების შექმნას სულ უსარგებლოდ.

დასაკმაყოფილებლად ეხლანდელ ათასნაირ მოთხოვნილებებისა ჩვენ გვჭირია ორი ფაქტორი, ორი საშუალება — ერთი არის ფული და მეორე ურიცხვი ნასწავლი შვილები, სხვა და სხვა პროფესიისა; მხოლოდ მეორისთვის საჭირო არის კიდევ ფული. მაშასადამე პირველი ჩვენი ზრუნვა უნდა იყოს მიმართული ფულის შოვნაზედ. მაგრამ სად ვიშოვნოთ ეს ფულები? დავაგირაოთ რაც გავაჩნია? მაგრამ რა გვაქვს დასაგირავებელი? ორი ქცევა მიწა? ეს რას გვიშველის, ან ვინ დაიგირიებს მას, ან რითი გავისტუმროთ ვალი?

ურიცხვი მადნეულობა ჩვენს დედამიწაში და მთებში არ მუშავდება და უსარგებლოდ აგდება, უცდის დროს და მზრუნველ პატრონს; „ზავოდები“ და „ფაბრიკები“ არ არის; მაშალა დაგვრჩენია? დაგვრჩენია ის წყარო, რომელიც ათას წლოებით აკმაყოფილებდა ქართველის მოთხოვნილებას, რაზედაც მხოლოდ დამყარებული იყო და არის ჩვენი ეკონომიური და კულტურული წინ მსვლელობა, რომელიც მორწყულია მამაბაბათა წმინდა სისხლით; ეს არის მიწა, რომელსაც ღირსეულად ვეძახით „დედამიწას“, ჩვენს მრჩენელს, ეს არის მეურნეობა, მიწის დამუშავება, საქონლის მოვლამოშენება თავის მრავალ ნაირ დარგებით.

აე, თქვე დალოცვილო, ვმუშაობ, დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს, მაგრამ თავი შიმშილისგან ვერ ვიპატივე, კუჭი მეწვის! აი რა გვესმის ეხლა. სამწუხარო ამბავია, მაგრამ ეს სრულებით არ მიკვირს, რადგანაც, საუბედუროდ, უარესს მოველით და ეს უარესი დაგვიდგება სულ მალე, თუ რომ არ მივიღეთ ყოველნაირი საშუალება იმისთვის, რომ მიწის მუშა, მეურნე, შევასვენოთ საკმარისი თავისუფალი დრო მივცეთ, ცოტას შრომით და ფულის ხარჯით რაც შეიძლება მეტი შემოსავლი მივცეთ; უნდა ვეცადოთ ჩვენი მეურნე შევადარალოთ მიუცილებელ საჭირო სამეურნეო ცოდნით.

ყოველმა კარგმა ექიმმა დაწვრილებით უნდა იცოდეს ადამიანის სხეული და მისი ნაწილების ადგილი და მდგომარეობა, მისი მოთხოვნილება; ექიმის წამალი მაშინ გამოადგება ავთომყოფს, როდესაც ექიმი მიმხვდარია ავთომყოფობას და ავთომყოფი კი აუცილებლად და შეუტყველად ასრულებს მის (ექიმის) წინადადებას, დარიგებას. ასეთივე არის მეურნე: მას აქვს საქმე მიწასთან, მცენარეებთან და საქონელთან — ხართან, ძროხასთან, ფრინველებთან და სხვ. მაშასადამე მან დაწვრილებით უნდა შეისწავლოს სხეული ამ მიწის და მცენარეებ-ცხოველებისა და მან თუ შეასრულა დარიგება მათ დამუშავებაზედ და მოვლა-მოშენებაზე, — მიუცილებლად სასურველ ნაყოფს მიიღებს.

რადგანაც პატივცემულ ნორჩ გაზეთის „შინაურ საქმეების“ ბ. რედაქტორმა სიამოვნებით დაუთმო ადგილი თავის გაზეთში სამეურნეო წერილებსაც, ესარგებლობ შემთხვევით და სასიამოვნო ვალდებულებად ვიხდი, დრო გამოშვებით მივაწოდო ჩვენს მეურნეებს მიუცილებელი საჭირო ცნობები მეურნეობის შესახებ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი აგრონომები ისარგებლებენ გაზ. „შინაური საქმეების“ სტუმართმოყვარეობით და დროგამოშვებით გაუნაწილებენ მკითხველებს თავის ცოდნა-გამოცდილებას.

ნ. მკურნალი.

ამის საბუთი? — უთუოთ დაასახელებს დედაბერს, ან ვისმე დედაბრის მსგავსსა... მართალს ვერ იტყვის ვერაფერს.

ამგვარ ბრძენ-უგნურს ყოველთვის, ეს ჩვეულება ჰქონია: რასაც ეტყვიან, ან თვით გრძნობს, ქეშმარიტება ჰგონია.

მართლაც, რამ დააწვრილმანა, ასე რამ გააწყალწყალა? ნუთუ პარტიულ „როფიზმმა“ ასე თავყირა დაძალა?!

მართალს ვინც იტყვის, მიქია, ყველასგან საქებელია, მაგრამ, ზიზღი და ძაგება მას, ვინც სიცრუის მთქმელია...

რ. საჯავახოელი

**გოგართელს.**

ივანემ გამოილაშქრა სჯულსა და ეროვნებაზე, ჯახრიკობს, წვალობს, თუმცა ძალა არ შესწევს ამათ ვნებაზე.

ეროვნებისა არაა სწამს, სჯულიც ფეხებზე ჰკილია, „ეშმაკის მათრახოსნებში“ შეძვრა, იქ დაუბუღია.

ლათაიები დაიწყო, ჩანგი უკუღმა აედერა, მექორე დედაბერივით სიცრუის გულა გაბერა.

„პირველი ღამე“ დასწერა: „ბილწობდა ჩვენი ერიო“, ამის საბუთი? — „ამბობდა ვილაცა დედაბერიო“.

სჯულის მოძღვარი, სცენაზე გაჰყავს ანგარად და მრუშად... წმინდა მოღვაწე ესფერი ურცხვათ დასახა ჯაშუშათ!

**არა იცინან, რასა იტყვიან.**

დილა იყო. მზემ ნისკარტის ერთი დაკვრით გააპო აღმოსავლეთის წყვილი, ქვეყნიერებას შავი ზეწარი თავზედ გადაახია და ურიასტანის მიდამოებს ცხოველყოფილი თვისი სხივები თავზედ გადააყარა. ნაძენი ღიბანისანი მედიდურად შეინძრენ, იორდანე უკუნ იქცა შერისხვითა უფლისათა და ნაპირებზე გადმოანთხია თვისი ზვირთები. გენისარეთის ტბამ ლაპლაპი იწყო მზის სხივებზე; გვეალს და გარიზიმს ოქროს ჯილა დაედგა; ბეთლემის ბაგას სხივი ჩასჭვრიტინებდა და ღვთაებრივ ყრმას ეძებდა; თაბორს ფერი ეცვალა; სილომის ნაკადული ცელქად მოკურკულებდა და მდელის პირს ჰბანდა; სიხემის პოხიერი ველები ცხვრის ფარებით მოფენილიყო; მწყემსები აქ სალამურს აკვნესებდნენ, იქ დაბანილს პირს ჩოხის კალთებით იშრობდნენ, კიდევ იქით ცხვრებს უფრუტუნებდნენ და უკეთეს საძოვარზე მიე-

რეკებოდნენ. ქვეყნის ამ საერთო ღვინზე ზე-  
ცაც დიდება მალალიანს გალობდა. უზუცესი  
მწყემსი, თლათ შთანთქმული ამ არმონიაში,  
უცრად გამოერკვა და ალტყინებით იმეორებ-  
და წინასწარმეტყველის სიტყვებს: „ვითარ—  
განსდიდნეს საქმენი შენი უფალო და ყოვე-  
ლივე სიბრძნით ჰქმენ! აღივსო ქვეყანა დაბა-  
დებულითა შენითა! იყავნ დიდება უფლისა  
უკუნისამდე! იხარებდეს უფალი ქმნილთა ზე-  
და თვისთა! ვაქებდე უფალსა ცხოვრებასა ჩემ-  
სა, ვუვალობდე ღმერთსა ჩემსა, ვიდრემდის  
ვიყო მე! ტბილ ვყავნ მას გალობა ჩემი! მო-  
აკლდენ ცოდვილნი ქვეყანით და უსჯულონი  
ნულარა იპოებიან მასზედა!“

მან რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები  
და უცრად შესდგა. ფართო შარახე ვალი-  
ლიიდან მომავალი ცამეტი მგზავრი შეამჩნია  
ერთი მათგანი, მალალი და წერწეტი ტანისა  
და წყნარი ციური სახისა, წინ მოუძლოდა  
სხეებს. ხელების ქნევაზე შეატყობდა კაცი,  
რომ სახუმრო რამეზე არ ჰქონდა საუბარი.

მწყემსები სმენად ვადიქცენ.

— მოძღვარ, რა ბედნიერები ვიქნებით,  
როცა მოვალს ეგ სასუფეველი შენი, რა მად-  
ლიანად დაგვისახე იგი—მიუბრუნდა იესოს  
პეტრე მოციქული,—როდის მოვა ეგ სასუფე-  
ველი, უფალო?

— სიმონ—პეტრე, ამდენი ხანია მაგაზე  
გეჩინებით და კიდე ვერაფერი შეგასმინეთ!  
სასუფეველი უკვე მოსულ არს, ხოლო ესწრა-  
ფენით, რომ გარეთ არ დაშეთ და ბნელსა  
გარესკნელსა არ ჩაყარდეთ!

მოწაფეები შეკრთენ და ერთმანერთს გა-  
დახედეს.

— ვინ იქნება, უფალო, პირველ და უფ-  
როს სასუფეველსა შენსა?—ჰკითხა ჩვეულებ-  
რივი მოუთმენელობით პეტრემ.

— აჰა აღესრულოს თქმული ისაია წი-  
ნასწარმეტყველისა: „ერსა ამას აქვს ეურნა  
სამენად და გერ ასქენს, თგაღნა ხედავად და გერ  
ხედავს“. გარისხდა მოძღვარი; მომგვარეთ აქა  
ის ყრმა—მწყემსი, სალამურს რომ უკრავდა  
ახლა.

მოციქულებმა თაოყონებლივ აასრულეს

მოძღვრის ბრძანება და ერთი თვალის დახამ-  
ხამებაში დაუყენეს წინ ყრმა.

— უგუნურნო და უმეცარნო! ამპარტა-  
ვანებას მოუცავს ვულნი თქვენნი! ამინ გე-  
ტყვი თქვენ: უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ,  
ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდით სასუფეველსა  
ცათასა, რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თა-  
ვი თვისი, ვითარცა ყრმა ესე, იგი უფროს იყოს  
სასუფეველსა ცათასა.

მოძღვარს ხელები ბავშვის თავზედ ედვა.  
ბავშვს სალამური წელში გაერქო და გაშტე-  
რებით შესცქეროდა იესოს,

მოციქულებიც განცვიფრებით დასცქე-  
როდნენ ბედნიერს ყრმას და მათს სახეზედ  
გაუგებრობა იხატებოდა...

მგზავრები ჩქარის ნაბიჯით გაეშურნენ  
ქვევითკენ. აგერ იგინი უკვე იერიქონს ვასცი-  
ლებიან და იერუსალიმს დასცქერიან თავზედ.

კამათი კიდეც არ შეწყვეტილიყო. მათ  
მეთოთხმეტე თანამგზავრიც მომატებოდათ. ეს  
იყო სალომე, ცოლი ზებედესი და დედა იოა-  
ნესი და იაკობისი. იგი გვერდით ამოდგომო-  
და იესოს და თლათ სმენად გარდაქვეულიყო.  
თვითეულს სიტყვაზე იგი შვილებს შეხედავდა  
მრისხანეთ და დანარჩენს მოციქულებს ზიზ-  
ლით. მისი სახე, უნებურათ ვადიდებული თვა-  
ლები და ხელების ხშირი ქნევა ამტკიცებ-  
და, რომ მის გულში ჯოჯობეთი იყო.

— არა, მოძღვარ! არა შენი ქირიმე!  
უბედური სალომე ღმერთმა ნუ შეასწროს მი-  
სი შვილების ასეთს დამცირებას—იგინი დიდი  
ზებედეს შვილები არიან! მეხი კი დავაყარე  
ამათ,—გადახედა სალომემ სხვა მოციქულებს  
და ღრეჯით შევედრიდა იესოს,—ჩემი შვი-  
ლები უნდა გავხადო ამათი მოსამსახურე! ამ  
სიტყვებზე იგი მივარდა შვილებს, რალაცა  
ჩასწურჩილა, მერე წაავლო ხელი და სამივემ  
დაიჩოქეს იესოს წინ.

მოციქულები ვაკვირვებულნი იდგნენ და  
არაფერი ესმოდათ.

— უფალო, ჩვენ დიდი სათხოვარი გვაქვს  
შენთან, დიდი,—სთქვა სალომემ!..

— ბრძანეთ! მიუგო იესომ.

— თვით ინებე და ბრძანე, რათა ეს...

ჩემი ღვიძლი შვილი შენს გვერდით დადგენ ერთი მარჯვენით და მეორე მარცხენით, ოდეს მოვიდეს სუფევაშენი.

— ჩვენც გთხოვთ, უფალო, — დასძინეს იოანემ და იაკობმა.

მოციქულებს სიკვდილის ფერი დაეღოთ სახეზე.

— ერთი შეხედეთ ამ წუწკს, ამასა! — შებლავლეს მოციქულებმა ერთად, — შერე ჩვენ? ჩვენ?!

— თქვენ სადაც გინდათ, იქ დაეყარეთ! განა ცოტა იქნება იქ ალაგი! — უპასუხა სალომემ, — ყველა მარჯვნივ და მარცხნივ ხომ ვერ დაეტევა?!

მოციქულებს ქაფი მოადგათ პირზე სიბრაზით.

— მითომ შენი შვილები რა წითელი კვერცხი არიან?! — მიუბრუნდა გაცხარებული პეტრე სალომეს.

— თუ წითელი კვერცხი არ იყენენ, ბედშაო, რატომ ისინი, იახლა თან თაბორზე და სხვები მთის ძირში დაგყარათ!

— ვერ მოგართვეს! მეც იქ არ გახლდი! შესძახა გამარჯვებულმა პეტრემ, — მე არ ვაშენებდი სამ ტალავარს, რომ ბატონი არ გარისხებოდა და არ დაეწუნებია ჩემი სიტყვა!

— კეთილი! შენც გიშოვის ალაგს თავის ახლოს და გვერდით კი ჩემი შვილებისთვის მაქვს ნათხოვარი, ეხლა გვიანლა გახლავს, ნუ სწუხდები!

— და მე?! მე მაგის ძმა არავარ? — მივარდა ანდრია სალომეს, — ვინ შეგუდგა მოძღვარს პირველად?!

— ჰო და მეც მაშინვე არ გამოგვეიღე უკან? მიუბრუნდა იოანე ანდრიას.

— თუ უკან გამოგვეიღე და შენ უკან უნდა დაგაყენოს და მე წინ, — უპასუხა ანდრიამ. იოანეს ფერი წაუვიდა და თავი ჩაჰკიდა.

— მე რაღა შორს დაერჩი?! მივარდა ახლა პეტრე ანდრიას, — ბიჭო, იქ-ვე არ ვიდექი, შენ რომ ხელი დამიქნიე და გამოგვეიღე?!

— მეც მაშინვე არ დაგინახეთ და შენს დაძახებაზე არ წამოვედი?! — მიუბრუნდა ახლა ფილიპე პეტრეს.

— და შენ ხომ მე წამოგვანე, ლედვის ძირში რო ვიდექი და გამაცდინე! წარუდგა პირში ფილიპეს ბათლომე.

— თუ წამოდი და კაი მოგივა შენ, კარგად შენ შეხვდი! — მივარდა სალომე ბათლომეს. ის რა იყო, რომ მსხარად აიგდე? შენ არა სთქვი ნაზარეთიდან კაის რა უნდაო?!

— ყველა ავრე ამბობს ნაზარეთზე და მე რას ვიტყვოდი სხვას? როცა გამაგებდეს ხომ შევეუდექი?!

— ეგ ყველა, ყველა, მარა, თქვე უბედურებო, ის აღარ გახსოვთ, რომ კლიტეები მე მამარია?! — მიუბრუნდა პეტრე ყველას; დაეკეტავ კარებს და ერთსაც არ შეგვიშვებთ! პირველი ადგილი ჩემი უნდა იქნეს!..

მოციქულები შეშინდნენ და პეტრეს კბილები დაუკრიჭინეს.

— უფალო, გამისკდა აგერა გული! გააჩუმე ესენი! — მიუბრუნდა ტირილით სალომე მოძღვარს.

(შემდეგი იქნება).



საქველმოქმედო საღამოები ჟუთაისში.

(დაგვიანებული, მაგრამ ინტერესს არ მოკლებული, წერილი).

დადგა დიდი მარხვა და საქველმოქმედო საღამოებსაც დაუდგა შესვენების დრო. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქველმოქმედი ადამიანები მაინც იპოვნიან რაიმე მიზეზს და ეცდებიან ამ დიდ მარხვაშიდაც ორჯერ-სამჯერ გაახსენონ თავი საზოგადოებას. რა ვუყოთ, რომ დიდი მარხვაა, სინანულის დროა. სწორეთ ამ დროს არ შეჰფერის მოწყალება? სულ რომ იტირო შენ ცოდვებზე და ქველობა არა ჰქნა რა, ეს რა ღვთის სასიამოვნო საქმე იქნება? ეკლესიაში გაჩერებას ის არა სჯობია, ლეკურ-კინტაური დაუარო, ლოტო-კარტ-კაჩელი გამართო საზოგადოება გაახალისო და ღარიბ ლიტაკებს ლუკმა მიაწოდო? მიზანი რომ კარგია, ამას უარს ვერავინ ჰყოფს, ხოლო რაც შეეხება მიზნის მისაღწევ

საშუალებას და მის ზნეობრივ კეთილ გავლენას, ნუ დაგვიძახავთ, ამაში ცოტა ეჭვი გვეპარება. უფრო მეტი... მათის შეოხებით ჩვენებურ საქველმოქმედო საღამოებში უფრო მეტ ზნეობრივ ზარალს ვპოულობთ, ვიდრე ნივთიერ მოგებას. მართლა და რას ნიშნავს ის საცოდავი ასი-ორასი მანეთი, რის ვაი ვაგლახით შეკრებილი, იმ ზნეობრივ ბილწ გავლენასთან, რომელიც აქვს ასეთს საღამოებს ახალგაზდობაზე? წარმოიდგინეთ საღამო, გამართული თუნდ გიმნაზიის ღარიბ შეგირდთათვის სასარგებლოდ. კლუბის დარბაზი მოფენილია მწვანე სტოლებით, რომლებზედაც აწყობია ორორი კალოდა კარტი თავის მოწყობილობით;—ბუფეტი სავსეა სხვა და სხვა მაგარი და რბილი სასმელებით, და ტკბილი საქმელებით; გამგებთათვის გიმნაზიელებია; სტუმრებ შორის, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზდობაც არის, როგორც საშუალო ისე მაღალი სასწავლებლების; დაიწყო მოქმედება და აირია ყოველი: ვინ კარტს თამაშობს, ვინ ლოტოს, ვინ სვამს, ვინ ქეიფობს... აღარ არის გაგება! ბუფეტი მუშაობს. ზოგი გიმნაზიელი ბაყალია, ზოგიც მიკიტანი; ჰყიდინა საქონელს საარაკო ფასებში. ბოთლი ღვინო, რომელსაც სადაც გინდა სამ შაურათ იყიდი, მანეთნახევარია, რუმკა არაყი ექვსი შაური, გირვანქა აბაზიანი კამფეთი მანეთნახევარი; ვახშამი, რომელიც კატას ვერ გააძღვს, თუმანი, თუთხმეტი მანეთი. კალოდა კარტი, ის კარტი, რომელშიდაც საცხოვრებელი წაიგება, ორი მანეთი. ერთი სიტყვით ყველაფერი მამასისხლად იყიდება. რა თქმა უნდა, ყველა ეს ძალიან კარგი და მეტად ჭკუის მასწავლებელი და გონების განმავითარებელია ახალგაზდა ვაჭრებისათვის! ისინი ეცდებიან შემდეგ სავსებით ისარგებლონ ამ გაკვეთილით... საღამოს, რა თქმა უნდა მასწავლებლებიც ესწრებიან, მასწავლებლებიც; რომლებიც გზას უნათებენ ბნელში მავალ ახალგაზდობას, რომლების მაგალითი სავალდებულოა მათთვის. რომ არ დაესწრონ, როგორ შეიძლება! მასწავლებელი და არ შეეწევა ღარიბ შეგირდს? როგორ იქნება! უნდა შეეწიოს, ეს მისი მოვალეობაა და რომ

ლონიერად შეეწიოს, რამე უნდა ქამოს, რამე უნდა დალიოს. რა თქმა უნდა, რაც მეტს დალევეს, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს შეგირდებს. და ისიც ქველმოქმედურად სვამს, სვამს მეტს, რომ მეტი ქველმოქმედება ჩაიდინოს, მეტი ასარგებლოს ახალგაზდა ვაჭრებს. სმას, რასაკვირველია, ტვინის შეხურვება მოსდევს, ამ უკანასკნელს მრავალ ეამიერი და აღვირ წახსნილი მუსიდი. და ყველა ამას შეჰყურებს ჩვენი მოსწავლე თაობა, ჩვენი მომავალი იმედი, ჩვენი სიხარული, ჩვენი ქველმოქმედების უკანასკნელი მიზანი; შეჰყურებს და იელენტება ამ მშვენიერი მაგალითით. თქმა არ უნდა, ბოლოს თითონაც ნაკლები ქველმოქმედი აღარ გამოვა...

თენდება. სტუმრები ფეხს არ იცვლიან... საღმრთოებელს თავი და ბოლო აღარ უჩანს... სტუმრები ღვინოს ვეღარ იტყვენ. ბევრი მათგანი ხელით გაჰყავთ გარეთ. სხვები, ვისაც ჯერ კიდევ უკანასკნელი ჭიქა არ დაუღვია, სხედან და ელიან დროს, როცა მათ ხელმკლავ გამოდებული ჩააცილებენ კლუბის კიბეზე. მასწავლებლებიც ურევია მათში. ეხლა ისინი ვითომ სასწავლებელში მიდიან გაკვეთილებზე. გზაში შეგირდები ირვეიან და სასწავლებელში მიეშურებიან. ჰხედავენ, მათი მასწავლებელი ძლივს მიეხწევა, ფეხზედ ვეღარ დგება. ბავშვები ერთმანეთს ეშმაკურად თვალს უქნევენ და მასწავლებლისკენ ღიმილით თითს იშვერენ. მასწავლებელი გრძნობს თავის უხერხულ მდგომარეობას, ცდილობს თავი შეიმარტოს, სიმთვრალე არ შეიმჩნიოს, მაგრამ ამაოდ—ვერ ახერხებს და ეს უფრო სასაცილოდ ხდის მის მდგომარეობას. ამ ქველმოქმედმა მასწავლებელმა იმ დღეს გაკვეთილი უნდა მისცეს და წესიერება უნდა დაიცვას კლასში!..

ამით კიდევ არ თავდება საქველმოქმედო საღამოს დეფექტები. ხშირად ახალგაზდა თემომწონე ცოლშვილით დატვირთული საშუალო შემოსავლის კაცი, მთელ თავის შემოსავლის ნახევარს საქველმოქმედო საღამოებში ხარჯავს და თავის შვილები კი შიშვლები, უსწავლელი სახლში უყრია. ბევრს მომზადებული სასწავლო ჭირა, საქველმოქმედო საღა-

მოში ჩაუტოვია და საწყალი ბავში რამდენიმე კვირა შინ დაუგდია.

„შინ რომ ბავშვებს შიოდეს, ტაბლას გარეთ რა უნდაო“, ამბობს ქართული ანდაზა და ბევრს ხშირად წინააღმდეგი ემართება ამ საღამოების მეოხებით. როგორც იტყვიან, „სირცხვილს ვეღარ მიუღის ადამიანი“, როცა „სუდებნი პრისტავივით“, რომელიმე ცნობილი ქველმოქმედი (სხვისი ჯიბით, რა თქმა უნდა) ადამიანი უწყებას ჩაგაბარებს: ამა და ამ დროს, ამა და ამ საათზე, ამა და ამ დარბაზში, ამა და ამის სასარგებლოდ საქველმოქმედო საღამო იმართებაო. გინდათ თუ არა, გადასახალი უნდა მისცეთ. იმას არ გაიკითხავენ, თუ შენ ვინმე ღარიბი ნათესავი გყავს, რომელსაც შემწეობა ეჭირვება და რომელსაც არც ერთი ქველმოქმედი ადამიანი არ მიხედავს. მართლა და ვინ არის ესხლა ქუთაისში ისეთი, რომელსაც საქველმოქმედოთ მოსარჩენი ფული ჰქონდეს, გარდა ორი სამი პირისა, რომლებიც სრულებით არ დაგიდევნენ შენ ქველმოქმედებას. ქველმოქმედობს ისევ ის, ვინც თვით საჭიროებს მოწყალებაში და ქველმოქმედებს რანაირად? იმ ნაირად, რომ თვით ხშირად მთელი თვის განმავლობაში მშვიერი რჩება.

დღათა სქესზედაც ვერა აქვს კარგი გავლენა ქუთათურ საღამოებს. ქალები გაერთვნენ კარტისა და ლოტოს ჯამაში და თავის ქმრებზე არა ნაკლებად აგებენ ფულებს. ფულებმაც კირი მოგჰამოს, მაგრამ სახლკარი რჩება უბატრონოთ. ქმარი კლუბში, ცოლი კლუბში, ვინღა დარჩეს სახლში? ვინ უბატრონოს ძუძუმწოვარ ბავშვს? კაი დაგემართოს თუ ძიძა-გუგერნანტკები“ გყავსთ, მაგრამ ეს ყველას ხომ არ შეუძლია—არა და „ვეჩერები“ სწორეთ გადამდებ სენათ გადაიქცნენ, აღარავინ ჩერდება სახლში, თუ რამე ღონისძიება კი აქვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ვეჩერზე „კაჩელი“ იქნება. ერთი „კაჩელზე“ გაფრიალება მილიონს ურჩევნია—ქუთათურ მანდილოსანს. ერთი კია ღვთის წინაშე, ჯერ ქალები ღვთის სმას ირ მისჩვევიან და ამით ცოტა ნაკლებ ხარჯს იძლევიან, მაგრამ ამ სარგებლობას კარტი და

ლოტო აბათილებს. რვა საათზე რომ კარტს ჩაუჯდებიან, გათენებას ვეღარ გრძნობენ და სახლში სადილობის დროს ბრუნდებიან, ხშირათ ჯიბე ცარიელი იმ ზომამდე, რომ სადილის ფულიც აღარ მოჰყვებათ შინ. თუმცა ბევრს არ მოსწონს ქალების ასეთი საქციელი, მაგრამ თვით ქალები დიდ ზნეობრივ ღირებულებას აწერენ ლოტო-კარტის თამაშს. ამბობენ: მას აქეთ, რაც ეს გასართობები შემოვიღეთ, ჰორიკანობას თავი დავენებეთო. მე რომ მკითხონ ისევ ჰორიკანობა სჯობია... ფული მაინც არ იხარჯება შიგ და ძილისაც აგრე ნაირად არ უფრთხობს ადამიანს.

ჩემმა სუსტმა კალამმა სავსებით ვერ აღწერა ის ვნება რომელიც მოაქვს ჩვენებურ საქველმოქმედო საღამოებს, მაგრამ იმედია, ხშირად საღამოებში ნაყოფი და გამოცდილი ქუთათურები თვით დაამთავრებენ სურათს და ადვილად გაითვალისწინებენ მედლის უკუღმა პირს.

ასეთი მიმართულება ქუთათური ქველმოქმედებისა, ჩემის ფიქრით, ყველასთვის საზარალოა, როგორც ქველმოქმედისთვის ისე მისთვისაც, ვინც უნდა ისარგებლოს ამ ქველმოქმედების ნაყოფით. ცარცვა გლეჯა, რა მიზნითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, უზნეობა და არაფრით შესაწყნარებელი არ არის. თუ ეს შესაწყნარებელია, შესაწყნარებელი უნდა იყოს ის ცარცვა გლეჯაც, რომელიც სწარმოებს სხვა და სხვა ჯგუფების სასარგებლოდ. მსგავსადვე, საქველმოქმედო მიზნით ლოთობა და პირდაპირი მოვალეობის დავიწყება ისეთივე დამამცირებელია ადამიანის ღირსებისა, როგორც უბრალო რუსული, მუეციური ლოთობა. რამოდენი ხანია მას აქეთ, რაც ლოთობას შვილების მცნება „მიზანი ამართლებს საშუალებასო“, უარჰყვეს და ჩვენ დღესაც საქმით ამ მცნების მიმდევარნი ვართ, თუმცა სიტყვით დღეში ათასჯერ უარჰყუფთ მას. წმიდა მიზანს საშუალებაც წმიდა უნდა ჰქონდეს. თუ ვინმეს ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, სხვის უბედურებაზე არ ავავლოთ იგი. მხოლოდ ასეთ ქველმოქმედებას ჰქვია ქველმოქმედება და ფასიც მას აქვს ღვთის წინაშე, თუ ქველმოქმე-

დებ, ნულარ ეძებ შენს განცხრომას. ქველმოქმედება უანკარო უნდა, ქველმოქმედი კი— თავგანწირული და თავდავიწყებული. ყოველ შემთხვევაში არა ისეთი, როგორც ჩვენშია: ვისაც ცეცვა-ბანქოების, ქალოლოების საღერ-ღელი ავსლება ყველა ქველმოქმედი. ასეთ ქველმოქმედებთა შორის მოგებულნი არავენ არ რჩება, გარდა სასმელებისა და საწოვავის გამ-ყიდველებისა. ამიტომაც არის, რომ, რაც უნ-და მრავალსტუმროვანი საღამო გაიმართოს, რაც უნდა ბევრი დაიხარჯოს, წმინდა შემო-სავალი მინც ცოტა რჩება და ამოდენა ვე-ღერთელა ზნეობრივ ზარალს ასე ცოტა ნი-თიერი სარგებლობა მოაქვს.

ქველმოქმედება, როგორც ღარიბ შეგირდ-თათვის შემწეობის აღმოჩენა, რომ საჭიროა ამას ჩვენ არ ვპოულობთ უარს. ჩვენ ვამბობთ, რომ ის საშუალებანი, რომლებიც ამისთვის იხ-მარებიან თავისთავად უზნეურნი არიან და არ შეიძლება მათი გამართლება, რაც უნდა კაი მიზანს ემსახურებოდნენ, რადგანაც რყვი-ან, ზნეობით ათასსირებენ ახალგაზღობას. ამი-სათვის უნდა ვეცადოთ ეს საშუალებები შევ-სკვალოთ სხვა ისეთ საშუალებაზე, რომელიც არ იქნება ასე მავნებელი ორივე მხარისათვის. ასეთ საშუალებათ ჩვენ მიგვაჩნია საქველმოქ-მედო საზოგადოების დაარსება, რომლის სა-შუალებას უნდა შეადგენდეს ნებაყოფლობი-თი საწევრო გადასახადი. ასეთი საზოგადოება დიდ ნივთიერ და ზნეობრივ სარგებლობას მოუ-ტანს, როგორც მათ, ვისთვისაც ეს საზოგა-დოება იმყოფაწევებს, ისე თვით საზოგადოე-ბის წევრთაც. პირველნი გადარჩებიან საღა-მეობის ცუდ მაგალითების ზეგავლენას, მეო-რენი—ზედმეტ ხარჯს, რომელიც, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ვაჭრების სისარგებლოდ უფრო მიდის, ვიდრე დანიშნულებისამებრ. ვინც ეხლა საქველმოქმედო საღამოებში ხუთ ექვს თუმანს ხარჯავს წელიწადში და ამასთან თავის ტანმორთულობასაც ზედ ადებს, საზო-გადოების წევრობით მას ეს ხარჯი ათჯერ შე-უმცირდება და სარგებლობასაც ბევრს მოუ-ტანს ღარიბ შეგირდებს. ქველმოქმედი აღამი-

ნებიც გადარჩებიან ამაო ზრუნვას, თუ როგორ უფრო სამხიარულო და გასართობი გახადონ საღამოები. თავის გაუზიენას იგინი ეხლა იმაზე მიაპყრობენ, რომ მეტი საბატო და ქველ-მოქმედი წევრები შეძინონ საზოგადოებას, რა-საც, ვვიქრობთ, ბრწყინვალედ შეასრულებენ. ეს სტატია დაწერილი გვქონდა, როცა სიამოვნებით გავიგეთ, რომ ასეთი საზოგადო-ება უკვე არსებობს ქ. ქუთაისში, რომლის თავმჯდომარედ ითვლება მ. დუკ. გაბრიელ ცა-კარიეშვილი; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს საზოგადოება იღწის განსაკუთრებით ქუ-თაისის რეალურ გიმნაზიის ღარიბ შეგირდთა-თვის. ცოტა მიზნის გაუართობა, მეტი თა-ნაგრძნობა საზოგადოების და გავლენიან პირ-თავან და „ვეჩერები“ თავის „კაჩელიებით“ სა-ჭირო აღარ შეიქნება!

ამ საქმეს ხელი უნდა შეუწყონ უმეტეს თვით მოსწავლეების მშობლებმა, რომელთა პირ-დაპირი ინტერესია დაიცვან თავის შვილები სა-ღამოების ცუდ გავლენისაგან და მისცენ სა-შუალება სწავლა განათლების მისაღებად.

ბოსღვეული.



რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი  
სიმონ მჟედლიძე.

**გ ა ნ ც ხ ა ლ ე ზ ა**

**პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა**

პირველი თებერვლიდან ქალაქ ქუთაისში ქან ე. მჭედლოძის სახლ ებში (საბურთალო — კაზაკო-ვის — შესახვევი № 17) გაიხ.ნა კერძო ობობლა-სიანი პროგიმნაზია. ექვე ამხადლებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებლისათვის და ლებუ-ლოზენ სასუბეტრიციოდაც.